International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/IMOI8089

Conference proceedings – "International Scientific Conference on Innovation and Entrepreneurship" organised by Caucasus International University
Held on February 9-11, 2024 in Tbilisi and Telavi

Metacognitive Management Capabilities of Innovative Conflicts

Aleksandre Rusetski [1]
PhD in Political Sciences, PhD in Psychology
Associate Professor
Caucasus International University

A B S T R A C T

The article describes innovation and its different essences, concepts, and categories. It also discusses the different roles and functional purposes of innovators. Therefore, a distinction was made between innovative and non-innovative issues.

Based on this, innovative and innovative conflicts were also distinguished. Special attention is focused on cognitive defects in discourse.

Representatives of different fields of science play a role not only in creating innovations but also in the service of innovative processes.

Situated at the intersection of cognition, innovation, and conflict management, this work is relevant to various sectors within the national economy—government, business, and civil society—and is of considerable interest to the international scientific community.

Keywords: *Innovation, Innovation conflict, Cognitive capital, Metacognitive monitoring.*

[1] alex_scirs@yahoo.com

ინოვაციის კონფლიქტთა მეტაკოგნიტიური მართვის შესაძლებლობები

ალექსანდრე რუსეცკი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოლოგიის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

სტატიაში დაფიქსირებულია ინოვაციის და ნოვაციის განსხვავებული არსი, ცნებები, კატეგორიები. ასევე - ნოვატორების და ინოვატორების განსხვავებული როლები და ფუნქციონალური დანიშნულებები. გამომდინარე აქედან, გაიმიჯნა ნოვაციური და ინოვაციური კონფლიქტების ცნებებიც. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დისკურსში არსებულ კოგნიტიურ დეფექტებზე.

წარმოჩენილია მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა როლი არა მხოლოდ ნოვაციათა შექმნაში, არამედ ინოვაციური პროცესების მომსახურეობაში.

ნაშრომი განეკუთვნება შემეცნების, ინოვაციების და კონფლიქტების მართვის კვლევებს და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა როგორც ეროვნული ეკონომიკის - სახელმწიფო, ბიზნესის და სამოქალაქო სექტორებისთვის, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ნოვაცია, ინოვაციის კონფლიქტი, კოგნიტიური კაპიტალი, მეტაკოგნიტიური მონიტორინგი.*

1. შესავალი

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა - სახელმწიფო, ბიზნეს და სამოქალაქო ეკონომიკის სამივე სექტორის ნაყოფიერი განვითარებისათვის - ინოვაციის კონფლიქტის რთული სისტემის არსის დადგენა, უარყოფითი ზეგავლენის მინიმალიზება, მისი კაპიტალის შეფასება და პრაქტიკული გამოყენება მეტაშემეცნების (მეტაკოგნიტიური) მართვის მიდგომების გამოყენებით.

მიზანთან მიმართებაში იყო დასახული შემდეგი ამოცანები:

1. მეტაკოგნიტიური მონიტორინგი: ინოვაციის თანმდევი კონფლიქტების განმარტებათა გარკვევა და მათ შორის არსებული მეტაკონფლიქტის აღწერა.

2. კოგნიტიური ხასიათის რედუქციონისტული ტიპის დეფორმაციების დაფიქსირება.

3. დისკურსის შევსება არსებული და ახალი ტერმინოლოგიით.

4. ინოვაციის არსის და მისი საფუძვლის - ნოვაციის არსის წარმოდგენა და რენესანსი.

5. შემეცნების, როგორც ნოვაციის წარმოშობის ერთ-ერთი წინაპირობის (პრენოვაციის) მნიშვნელობის დასაბუთება.

6. მეტაშემეცნების, როგორც შემეცნების პროცესის მართვის განსაკუთრებული როლის წარმოდგენა.

დასახული ამოცანების ამოხსნის მიზნით გამოყენებულია ცნობილი და ავტორის მიერ შემოთავაზებული მიდგომები და მეთოდები.

ინოვაციის კონფლიქტის განმარტებებს შორის არსებული მეტაკონფლიქტის გააზრებისთვის და აღწერისათვის გამოყენებულია მეტაკოგნიტიური მართვის - ჰოლისტური, ემერჯენტული, სინერგიული, ამბივერტული და სინკრეტული მიდგომების, თვითკრიტიკული და კრიტიკული აზროვნების და ფონო-სემანტიკური ანალიზის შესაძლებლობები.

საკაბინეტო კვლევების პროცესში დამუშავებულია ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილი სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურა, ნორმატიული აქტები და ინფორმაცია ამ სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების თაობაზე. ასევე არის გამოყენებული ტერმინოლოგიის შინაარსის ფონო-სემანტიკური ანალიზი.

განსაკუთრებულადაა წარმოდგენილი მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა როლი ნოვაციათა შექმნაში დ ასევე ინოვაციური პროცესების მომსახურეობაში. მეტაკოგნიტიური მიდგომა/აზროვნება ითვალისწინებს ავტორის მიერ პირველად წარმოდგენილ „მეტაინოვაციის ფენომენს“ (I4I – innovation for innovation) და - “მეტანოვაციის ფენომენის“ N4N (novation for novation) გამოყენებას.

ნაშრომში გამოყენებულია ლ.კოზერის „სოციალური კონფლიქტის თეორიაში“ წარმოდგენილი - საზოგაოდოების „რეგრესიულ-პლურალისტული“ტიპები, მათი მნიშვნელობა და ამავე დროს ამ მიდგომის კორექტული კრიტიკა და „რეგრესიულ-

პროგრესიულ-პლურალისტური“ მოდელით ჩანაცვლების ინიციატივა. ამავე თეორიის და ჰოლისტური მიდგომების მიხედვით, ინოვაციის კონფლიქტი წარმოდგენილია როგორც კოგნიტიური კაპიტალი და განვითარების რესურსი და არა მხოლოდ პრობლემა.

კვლევის თეორიული ბაზისი ეყრდნობა ინოვაციის თეორიის დამაარსებლის - გამოჩენილი ავსტრიელი პოლიტოლოგის, ეკონომისტის და სოციოლოგის - იოზეფ შუმპეტერის მიდგომებს; ამერიკელი მეცნიერის, კომუნიკაციების თეორიის წარმომადგენლის - ევერეტ როჯერსის „ინოვაციების დიფუზიის თეორიას“; დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიას“; ლ.კოზერის „სოციალური კონფლიქტის ზოგადი თეორიას“; ჯ.ფლეიველის მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეთოდს და ავტორის მიერ წარმოდგენილ მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის საფუძვლებს.

სტატიაში გამოყენებულია დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე რუსეთის ფსიქოლოგიის სკოლის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი კონცეპციები და ცალკეული მოსაზრებები, რომელსაც ისინი იყენებენ ინოვაციის კონფლიქტის აღწერის და მართვის კონტექსტში. ვ.ბ.ტარაბაევა (2001), ვ.ა.იადოვი (2001), გ.მ.ანდრეევა (1980), გ.მ.კოჯასპიროვა და ა.ი.კოჯასპიროვი (2005) - ინოვაციების მიმართ მზაობის განსაზღვრის პროცესში, ყურადღებას ამახვილებენ **„ინოვაციური განწყობის“** ცნებაზე, როგორც „ინოვაციისათვის ორგანიზაციის თანამშრომელთა მზადყოფნის ხარისხის მაჩვენებელზე“. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვ.ა.იადოვის მიერ შექმნილი „პიროვნების სოციალური ქცევების დისპოზიციური რეგულაციის კონცეპცია“, რომელშიც საუბარია პიროვნების დისპოზიციაზე, როგორც სოციალურ გამოცდილებაში დაფიქსირებულ მიდრეკილებაზე აღიქვას და შეაფასოს საქმიანობის პირობები, საკუთარი აქტივობა, სხვათა ქმედებები და აირჩიოს შესაბამისი მოქმედების გზა (Ядов, 1975). ვ.ბ.ტარაბაევა დაძაბულობას ინტერპერსონალურ ურთიერთქმედებაში, უკავშირებს ინოვაციური განვითარების შინაარსის მიმართ ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციების არსებობას (Тарабаева, 2001). მეტაკოგნიტიური მართვის თეორიაში პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით წარმოდგენილია პოლიტიკური სინკრეტიზმის კონცეპცია, რაც იძლევა საშუალებას რომ მოვახდინოთ ამ ცოდნის ტრანსფერი და შემოვიტანოთ დისკურსში „ეკონომიკური სინკრეტიზმის“ ცნება (Rusetsky, 2020). ეს რესურსი შეიძლება იყოს მეტად საჭირო ნოვაციის თანმსდევ კონფლისტთა - რადიკალურად დაპირისპირებულ ჯგუფთა შორის ურთიერთობების დასალაგებლად.

მეტაკოგნიტიური მართვის ერთ-ერთ მეთოდად წარმოდგენილია - ამბივერტული კვლევა, რომელიც ითვალისწინებს კვლევის ექსტრავერსიული და ინტრავერსიული მიმართულებების ჰოლისტურ განხილვას და მათ სინერგიას. თვითონ სტატია განიხილება როგორც ინოვაციური პროდუქტი, ხოლო სტატიის შექმნის პროცესი წარმოდგენილია როგორც - კვლევის ემპირიული და ექსპერიმენტალური ნაწილი, რაც წარმოადგენს

ჩართული დაკვირვების მეთოდის მაგალითს, რომელშიც ავტორი წარმოდგენილია როგორც ნოვატორი, ინოვატორი და ინოვაციის კონფლიქტის მსხვერპლიც. ასევე გამოყენებულია ინოვაციების მართვასთან დაკავშირებული ჩართული დაკვირვების სხვა ადრინდელი პრაქტიკული (პოზიტიური და უარყოფითი) გამოცდილება: ავტორის მიერ ინოვაციების და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2013-2018); განათლების ინოვაციური ტექნოლოგიების ევროპული ქსელის PROFFORMANCE წევრობა (2022-2024); (2018-2022) ტელეგადაცემა „მეცნიერება და ინოვაციების“ წამყვანისა და (2019-2023) ფსიქოლოგიის და პოლიტიკის მეცნიერებებში დაცული ორი სადისერტაციო ნაშრომის შედეგების დისიმინაციის პროცესში დაგროვილი გამოცდილება.

2. პრობლემის აქტუალობა

პროცესების მეტაკოგნიტიური მართვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ობიექტის აღქმის ხარისხის დადგენა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ადგილი არ აქვს კოგნიტიურ დამახინჯებას. მეტად მნიშვნელოვანია ამ ამოცანის მოგვარება სამეცნიერო კვლევის დროს. ამ დამახიჯნების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს დესტრუქციული რედუქციონისტული აზროვნების დომინირება. არსებული პრობლემა გამომდინარეობს აგრესიული რედუქციონისტული აზროვნების დომინირებიდან, რომელიც ორიენტირებულია რთული სისტემების აღქმის გამარტივებაზე. ავტორის წინა შრომებში, კონფლიქტების რთულ სისტემებთან მიმართებაში გამოყენებულია ტერმინი „კაპ-პრობლემა“ (კონფლიქტის აღქმის პრიმიტივიზაცია) (რუსეცკი, 2012).

კვლევის ობიექტის აღწერის პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ერთმანეთთან დაპირისპირებული მოსაზრებების არსებობა და ჩამოაყალიბოს მკვლევარში ინტრაპერსონალური კონფლიქტი.

კვლევამ დაგვანახა, რომ ხშირ შემთხვევებში ხდება ნოვაციის და ინოვაციის ცნებათა სრული აღრევა. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ, ინოვაციის ცნებამ მოახდინა ნოვაციის ცნების დისკურსიდან განდევნა და მისი შინაარსის სრული ან ნაწილობრივი მითვისება - **ოკუპაცია**. იგივე შეეხება წარმოებულ ტერმინებს - „ინოვატორი“ და „ნოვატორი“. გამომდინარე იქედან სახეზეა „მშობელი ცნების“ დისკრიმინაციის პრობლემა. ნოვაცია-ინოვაციის ან ნოვატორი-ინოვატორის მოდელები არ დაიყვანება რომელიმე ერთ ქვესისტემამდე რაც ნიშნავს იმას რომ არ უნდა მოხდეს ემერჯენტულობის პრინციპის დარღვევა.

კვლევის საწყის ფაზაში, უნებლიეთ იყო დაშვებული შეცდომა და 19.02.2024 საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებაში ავტორის მიერ დაფიქსირდა ცნება „ინოვაციური კონფლიქტი“, რომელსაც გააჩნია სხვა შინაარსი, რომელიც აზუსტებს „კონფლიქტის

ინოვაციურობის ხასიათს“. იგი წარმოადგენს მის ისეთ თვისობრივ მახასიათებელს, რომელიც განასხვავებს მას აქამდე არსებული სხვა (ადრინდელი) კონფლიქტებისგან. მიუხედავად დაშვებული შეცდომისა, ცნება „ინოვაციური კონფლიქტი“ წარმოადგენს ღირებულებას კონფლიქტების მეცნიერებისათვის და ნოვაცია/ინოვაციათა კვლევებისათვის. ეს ასევე არის მტკიცებულება იმის, რომ ინოვაციის ცნების გარშემო კონფლიქტთა მრავალფეროვანი სიმრავლე (რთული სისტემა) ვერ დაიყვანება რომელიმე ერთ კონფლიქტამდე, რაც წარმოადგენს არარედუქციონისტული, ემერჯენტული და ჰოლისტური აზროვნების პრინციპებს. გამომდინარე აქედან, ჩვენს წინაშე შეიქმნა ამ სიმრავლისთვის შესაბამისი განმარტების მოძიების პრობლემა. ჩატარდა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ისეთი ტერმინების ანალიზი, როგორიცაა: „კონფლიქტები ინოვაციაში“, „კონფლიქტები ინოვაციურ ორგანიზაციებში“ (Vollmer, 2015), „ინოვაციური განვითარების კონფლიქტი“ და ა.შ. (Тарабаева, 2010). ამ ტერმინთა ფონო-სემანტიკურმა ანალიზმა ვერ დააკმაყოფილა კვლევის ინტერესი და ამ ეტაპზე, მივედით იმ აზრამდე, რომ წარმოვადგინოთ პირობითი ტერმინი „ინოვაციის კონფლიქტი“. აქ ინოვაცია არის ობიექტი, ხოლო კონფლიქტი - კვლევის საგანი. ადრე გამოყენებულ ტერმინში „ინოვაციური კონფლიქტი“ არის პირიქით: ობიექტი არის კონფლიქტი, ხოლო ინოვაცია - საგანი. ტერმინი „ინოვაციის კონფლიქტი“ გულისხმობს ინოვაციის დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე თანმდევ მრავალფეროვან კონფლიქტთა შესაძლო სიმრავლეს - „ინოვაციის კონფლიქტის რთული (კომპლექსური) სისტემა“. ეს ტერმინიც წარმოადგენს ნეოლოგიზმს, ანუ - ლინგვისტურ ნოვაციას.

„ინოვაციური კონფლიქტის“ ცნება დაფიქსირებულია მხოლოდ ერთ ქართულენოვან ინტერნეტ წყაროში. „ინოვაციური კონფლიქტის ობიექტია გარკვეული სიახლე, რომლის ირგვლივაც ხდება ურთიერთდაპირისპირება ნოვატორებსა და კონსერვატორებს შორის. რაც უფრო მაშტაბურია სიახლე, მით უფრო მეტი პირია ჩართული ინოვაციურ პროცესში და შესაბამისად მეტია კონფლიქტური შემთხვევებიც. ხოლო, რაც უფრო რადიკალურია სიახლე, მით უფრო დიდი წინააღმდეგობა აწყდება მას“ (https://blh.com.ge).

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში ფიქსირდება ნოვატორი და არა ინოვატორი, შესაბამისად, ეს განმარტება ვერ იქნება მისაღები იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ შესაძლებელია კონფლიქტი იყოს „ნოვატორსა“ და „ინოვატორს“ შორის. ანუ ეს განმარტება ცალსახად არის რედუქციონისტული ხასიათის. როდესაც დავრეკეთ ამ ფირმაში, გვიპასუხეს, რომ მათ ეგ საკითხი არანაირად არ აინტერესებთ ბრძანეს „იდოს საიტზე ისე როგორც დევს“. ანუ ექსპერტები, რომლებიც ჰპირდებიან კლიენტებს სერვისს არ არიან დაინტერესებულნი, რომ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია. ამიტომ ვაფიქსირებთ ფაქტს, რომ ჩვენი ნოვაცია, მაგ კონკრეტულ ფირმაში ვერ დავნერგეთ. სამაგიეროდ შეიქმნა სურვილი და მიზანი, რომ დაინერგოს სხვა მსგავსი ტიპის ორგანზაციებში, არა მხოლოდ

ტერმინი, არამედ კონკრეტული სერვისიც. ფაქტობრივად, ამ „წინაამღდეგობამ“ გამოიწვია მყისიერი ტრავმა, იმის განცდა, რომ ჩვენი შრომა მათ არ აინტერესებთ. მაგრამ ამ ტრავმის ნიადაგზე, როგორც რეაქცია - გაჩნდა ნოვაციის შექმნის ინიციატივა. ამიტომ, ეს კონფლიქტური სიტუაცია „ნოვატორ/ინოვატორსა“ და „პოტენციურ რეციპიენტს“ შორის იყო აღქმული და შეფასებული, როგორც კონსტრუქციული.

იმისთვის, რომ მოვახდინოთ - „ინოვაციის კონფლიქტის“ ცნების დანერგვა, ანუ ინოვაცია, მას უნდა მიეცეს შესაბამისი ლეგიტიმაცია საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში. მან უნდა დააკმაყოფილოს ინოვაციის სპეციალისტები, კონფლიქტების მართვის სპეციალისტები, ფილოლოგები და რაც მთავარია პრაქტიკოსები.

კონფლიქტის განმარტება წარმოადგენს რთულ ამოცანას და შეცდომის ფასი შეიძლება იყოს ძალიან ძვირი. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ შეცდომით აღვიქვამთ და აღვწერთ რომელიმე კონფლიქტს, ჩნდება წარმოებული კონფლიქტი, რომელსაც მეტაკოგნიტიური მართვის თეორიის ჩარჩოში არსებული 4D-RAV-17 მეთოდის თანახმად „ფსევდოკონფლიქტად“ განვიხილავთ. „ფსევდოკონფლიქტი“ ხელს უშლის რეალური კონფლიქტის აღქმას გამომდინარე იქიდან, რომ ასრულებს „დამკვირვებელსა“ და „ობიექტს“ შორის ხელოვნური საკომუნიკაციო ბარიერის ფუნქციას. ეს კი ხელს უშლის რეალური კონფლიქტის მართვას. ამიტომ, დეფინიციების რევიზია არის მეტად სასარგებლო (რუსეცკი, 2009).

სტატიაში ინოვაციის კონფლიქტი განიმარტება, როგორც ფსიქო-სოციალური დაპირისპირება, რომელიც წარმოიქმნება პიროვნებაში (ფსიქოლოგიური ინტრაპერსონალური კონფლიქტი) ან ორგანიზაციაში (ორგანიზაციული კონფლიქტი), ან სოციუმში (სოციალური კონფლიქტი) მიმდინარე ნოვაციის დანერგვის - ინოვაციის პროცესთან მიმართებაში. იგი შეიძლება იყოს ფუნქციონალური ან დისფუნქციონალური ხასიათის - ხელს უწყობდეს ან აფერხებს ინოვაციების დანერგვას. ინოვაციის კონფლიქტის მეტაკოგნიტიური მართვის (ICMM) ამოცანებს წარმოადგენს:

1. ინოვაციის ფუნქციონალური კონფლიქტის შეფასება და პიროვნების, გუნდის, ორგანიზაციის თუ საზოგადოების ინტერესებში გამოყენება.

2. დისფუნქციონალური ინოვაციური კონფლიქტის პრევენცია ან უკვე შექმნილის ტრანსფორმაცია ფუნქციონალურში.

ამ სტატიის შექმნის პროცესში (პრენოვაციის ფაზაში) დაშვებული შეცდომის აღმოჩენის შედეგად ჩვენ დავამტკიცეთ დესტრუქციული (ფსევდოკონფლიქტის) კონსტრუქციულში ტრანსფორმაციის ნათელი მაგალითი. ფსიქო-ლინგვისტური ტიპის „ფსევდოკონფლიქტის“ აღმოჩენა დაგვეხმარა კოგნიტური ხასიათის კონფლიქტების უფრო მნიშვნელოვანი

სიმრავლის აღმოჩენაში. გამომდინარე აქედან ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ ერთი და იგივე კონფლიქტი ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც დესტრუქციული, ასევე კონსტრუქციული და მისი მომავალი განვითარების ტრაექტორია დამოკიდებულია ჩვენს განწყობაზე/აღქმაზე/აღწერაზე/გავრცელებაზე.

ლ. კოზერის მიხედვით, კონფლიქტის ცნების აღქმის მიმართ საზოგადოება შეიძლება იყოს - რეგრესიული და პლურალისტული (Coser, 1957). პირველი აღიქვამს კონფლიქტს როგორც ნეგატიურ და მავნე მოვლენას, ხოლო მეორე - ხედავს კონფლიქტში გარდაქმნის რესურს. ანუ რეგრესიული ტიპის საზოგადოებას ახასიათებს დესტრუქციული განწყობის ტიპი, ხოლო პლურალისტური ტიპის საზოგადოებას - კონსტრუქციული ტიპი. ნაშრომში „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნნიტიური მართვის შესაძლებლობები“ განვავითარეთ ლ.კოზერის მოდელი და პლურალისტურის ნაცვლად გამოვიყენეთ პროგრესიული. ხოლო პლურალისტურის არსი წარმოვადგინეთ, როგორც რეგრესულის და პროგრესიულის პოლიკულტურული ერთობლიობა (რუსეცკი, 2023). რეგრესიული ტიპი უფრო ასოცირდება ტრადიცულ-ფუნდამენტალისტურთან, მაშინ როდესაც პროგრესიული ტიპი, ორიენტირებულია პროტესტანტიზმზე და გარდაქმნაზე. პლურალისტური შესაბამისად შეიცავს ორივე ტიპს. კონფლიქტების მიმართ განწყობის შეცვლა არის შესაძლებელი და ამ ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს პროპაგანდა ან განათლების სისტემა. ქართველი მეცნიერი, დიმიტრი უზნაძის მოსწავლე - ფსიქოლოგიის დოქტორი, აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი გვირჩევს, რომ მეტი ყურადღება გავამახვილოთ განათლებაზე და არა პროპაგანდაზე (ნადირაშვილი, 1978). ეს საბჭოთა კავშირის პირობებში იყო გაბედული განცხადება, რომელიც იყო ორიენტირებული მოსახლეობის, იგივე საბჭოთა პროპაგანდისგან ფსიქოლოგიურ დაცვაზე.

ამიტომ, პრობლემების და კონფლიქტების მართვა პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხთან. განათლება სჭირდებათ პირველ რიგში თვით მეცნიერებს. სამწუხაროდ, მათ უმრავლესობას დღესაც კი უჭირს გაიგოს კონფლიქტის კონსტრუქციული არსის ფენომენი და ამიტომ, სამეცნიერო და საზოგადო დისკურსში „კონფლიქტს“ ანიჭებენ დესტრუქციულ მნიშვნელობას, რაც არის რეგრესიული და ამავე დროს რედუქციონისტული აზროვნების შედეგი. ამ სფეროში არსებული ვითარების სამეცნიერო კრიტიკა ამ თვალსაზრისით წარმოადგენს მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეთოდის პრაქტიკული გამოყენების მაგალითს. ბუნებრივია, რომ ინოვაციის კონფლიქტი - რეგრესულ, პროგრესიულ და პლურალისტურ გარემოში სხვადასხვანაირად წარიმართება და გადის სხვადასხვა შედეგზე.

ემერჯენტულობის და ჰოლისტური აზროვნების პრინციპებიდან გამომდინარე, გვინდა წარმოვადგინოთ დამატებითი არგუმენტები „ინოვაციის კონფლიქტის“ განმარტების სასრგებლოდ. ნოვაციის დანერგვას, ანუ - ინოვაციის პროცესს თან სდევს სხვადასხვა ტიპის და სიმძლავრის კონფლიქტთა სიმრავლე. თუ ნოვაცია წარმოადგენს კონფლიქტის ობიექტს

- მაგალითად ორი მეცნიერი კამათობს იმის თაობაზე, თუ რომელმა უფრო ადრე გამოიგონა ეს ტერმინი და ვისია საავტორო უფლებები, ან ორი ინოვატორი იბრძვის იმისთვის, რომ მოიპოვოს ნოვაციის გამოყენების უფლება, ეს არის ნოვაციის კონფლიქტი. ნოვაციის კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ერთ ადამიანშიც, როგორც ინტრაპერსონალური კონფლიქტი. ამის მაგალითია თვით ავტორი, როდესაც მას შეექმნა არჩევნის დილემა - „დატოვოს სტატიაში ტერმინი „ინოვაციური კონფლიქტი“ თუ „ინოვაციის კონფლიქტის“ სახით წარმოადგინოს ნოვაცია. აქ ადგილი აქვს ფილოლოგიური ხასიათის **მეტაკონფლიქტს** - ანუ კონფლიქტს, რომელიც შეიქმნა კონფლიქტის განმარტების თაობაზე. თუ კონფლიქტის საგანს წარმოადგენს ინოვაციის დანერგვის სხვადასხვა მიდგომებს შორის არსებული კონკურენცია, ეს არის ინოვაციის კონფლიქტი. თუ კონფლიქტი შეიქმნა ინოვაციის დანერგვის პროცესში, მაგალითად მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ეს არის სხვა ტიპის ინოვაციის კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია დანერგვის პროცესით ან მისი შედეგებით.

ი.შუმპეტერი ინოვაციის თეორიის ჩამოყალიბების პროცესში პრიორიტეტს ანიჭებს „მეწარმეებს“, რომლებიც წარმოადგენენ მისი აზრით „ინოვატორებს“. ამავე დროს მეწარმე შეიძლება იყოს „ინოვატორი“ და შეიძლება - არ იყოს. ისევე როგორც შესაძლებელია, რომ ადამიანი (მაგალითად მეცნიერი) იყოს „ნოვატორი“, მაგრამ არ ჰქონდეს არავითარი ნიჭი, ნოვაციის პრაქტიკაში დანერგვის ცოდნა ან უნარები, ანუ - არ იყოს „ინოვატორი“. ნოვატორი არის „ნედლეულის“ შემომტანი, ხოლო ინოვატორი - განმახორციელებელი. სამწუხაროდ, უნდა ავღინიშნოთ, რომ სხვადასხვა განმარტებებში ეს ორი ტერმინი გაიგივებულია, რაც არარის სწორი. ნოვატორის მიერ შექმნილი პროდუქტიდან - ნოვაციიდან შესაძლებელია, რომ შეიქმნას სხვადასხვა ტიპის ახალი პროდუქტი ან სერვისი, შესაბამისად მოემსახუროს ინოვატორთა სიმრავლეს და ეს არის დივერსიფიკაციის პროცესი.

ამიტომ პრობლემების და კონფლიქტების მართვა პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხთან. განათლება სჭირდებათ პირველ რიგში თვით მეცნიერებს. სამწუხაროდ, მათ უმრავლესობას დღესაც კი უჭირს გაიგოს კონფლიქტის კონსტრუქციული არსის ფენომენი და ამიტომ სამეცნიერო და საზოგადო დისკურსში „კონფლიქტს“ ანიჭებენ დესტრუქციულ მნიშვნელობას, რაც არის რეგრესიული და ამავე დროს რედუქციონისტული აზროვნების შედეგი. ამ სფეროში არსებული ვითარების სამეცნიერო კრიტიკა ამ თვალსაზრისით წარმოადგენს მეტაკოგნიტური მონიტორინგის მეთოდის პრაქტიკული გამოყენების მაგალითს. ბუნებრივია, რომ ინოვაციის კონფლიქტი - რეგრესულ, პროგრესიულ და პლურალისტურ გარემოში სხვადასხვანაირად წარიმართება და გადის სხვადასხვა შედეგზე.

ემერჯენტულობის და ჰოლისტური აზროვნების პრინციპებიდან გამომდინარე, გვინდა წარმოვადგინოთ დამატებითი არგუმენტები „ინოვაციის კონფლიქტის“ განმარტების სასრგებლოდ. ნოვაციის დანერგვას, ანუ - ინოვაციის პროცესს თან სდევს სხვადასხვა ტიპის

და სიმძლავრის კონფლიქტთა სიმრავლე. თუ ნოვაცია წარმოადგენს კონფლიქტის ობიექტს - მაგალითად ორი მეცნიერი კამათობს იმის თაობაზე, თუ რომელმა უფრო ადრე გამოიგონა ეს ტერმინი და ვისია საავტორო უფლებები, ან ორი ინოვატორი იბრძვის იმისთვის, რომ მოიპოვოს ნოვაციის გამოყენების უფლება, ეს არის ნოვაციის კონფლიქტი. ნოვაციის კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ერთ ადამიანშიც, როგორც ინტრაპერსონალური კონფლიქტი. ამის მაგალითია თვით ავტორი, როდესაც მას შეექმნა არჩევნის დილემა - „დატოვოს სტატიაში ტერმინი „ინოვაციური კონფლიქტი“ თუ „ინოვაციის კონფლიქტის“ სახით წარმოადგინოს ნოვაცია. აქ ადგილი აქვს ფილოლოგიური ხასიათის **მეტაკონფლიქტს** - ანუ კონფლიქტს, რომელიც შეიქმნა კონფლიქტის განმარტების თაობაზე. თუ კონფლიქტის საგანს წარმოადგენს ინოვაციის დანერგვის სხვადასხვა მიდგომებს შორის არსებული კონკურენცია, ეს არის ინოვაციის კონფლიქტი. თუ კონფლიქტი შეიქმნა ინოვაციის დანერგვის პროცესში, მაგალითად მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ეს არის სხვა ტიპის ინოვაციის კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია დანერგვის პროცესით ან მისი შედეგებით.

ი.შუმპეტერი ინოვაციის თეორიის ჩამოყალიბების პროცესში პრიორიტეტს ანიჭებს „მეწარმეებს“, რომლებიც წარმოადგენენ მისი აზრით „ინოვატორებს“. ამავე დროს მეწარმე შეიძლება იყოს „ინოვატორი“ და შეიძლება - არ იყოს. ისევე როგორც შესაძლებელია, რომ ადამიანი (მაგალითად მეცნიერი) იყოს „ნოვატორი“, მაგრამ არ ჰქონდეს არავითარი ნიჭი, ნოვაციის პრაქტიკაში დანერგვის ცოდნა ან უნარები, ანუ - არ იყოს „ინოვატორი“. ნოვატორი არის „ნედლეულის“ შემომტანი, ხოლო ინოვატორი - განმახორციელებელი. სამწუხაროდ, უნდა ავღინიშნოთ, რომ სხვადასხვა განმარტებებში ეს ორი ტერმინი გაიგივებულია, რაც არ არის სწორი. ნოვატორის მიერ შექმნილი პროდუქტიდან - ნოვაციიდან შესაძლებელია რომ შეიქმნას სხვადასხვა ტიპის ახალი პროდუქტი ან სერვისი, შესაბამისად მოემსახუროს ინოვატორთა სიმრავლეს და ეს არის დივერსიფიკაციის პროცესი.

ცხრილში წარმოდგენილია ნოვაციური და ინოვაციური კონფლიქტების შესაძლო კავშირი - ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური, პიროვნებასა და ჯგუფს შორის და ჯგუფთაშორისი კონფლიქტების ტიპებთან (გამარტივებული სქემა).

ცხრილი #1. წარმოდგენილია ნოვაციური და ინოვაციური კონფლიქტების შესაძლო კავშირების გამარტივებული სქემა

კონფლიქტის სახეობა	ნოვაციის კონფლიქტი	ინოვაციის კონფლიქტი
ინტრაპერსონალური	ნოვატორი (არაა კმაყოფილი იმით, რომ ვერ ყიდის თვის პროდუქტს. აქ არის კონფლიქტი „ნოვატორსა“ და „გაყიდვების მენეჯერს“ შორის)	ინოვატორი (უკმაყოფილოა საკუთარი მოქმედებებით) რეციპიენტი (არაა მზად რომ მიიღოს ინოვაცია - ადაპტაციის პრობლემა) ნოვატორი (არაა მაგალითად კმაყოფილი მისი იდეების რეალიზებით)
ინტერპერსონალური	ნოვატორი-ინოვატორი; ნოვატორი-რეციპიენტი ნოვატორი1-ნოვატორი2 (კონკურენცია) ნოვატორი - გარე გაყიდვების მენეჯერი (პროდიუსერი)	ინოვატორი-ნოვატორი ინოვატორი-რეციპიენტი ინოვატორი1 - ინოვატორი2 (კონკურენცია)
პიროვნებასა და ჯგუფს შორის	ნოვატორი - ორგანიზაციის კოლექტივი - ასიმეტრიული კონფლიქტი	- ინოვატორი - რეციპიენტები - ინოვაციის მომხმარებელი/ რეციპიენტი ნოვატორი (არაა დაკმაყოფილებული მისი იდეის განხორციელების შედეგებით.

ჯგუფთაშორისი	ორგანიზაციაში ან სოციალური სისტემაში - ნოვაციის მომხრე/მოწინაამღდეგეები	რეციპიენტებს შორის მომხრე/მოწინაამღდეგეებს შორის

ინოვაციის საფუძველი არის ახალი ცოდნა - ნოვაცია. ცოდნის შექმნისთვის აუცილებელია შემეცნება. მეტაკოგნიტიური მართვის თეორია გვთავაზობს კიდევ ერთ დონეს და ეს არის შემეცნების პროცესების შემეცნება. სამწუხაროდ, ზუსტად შემეცნების პროცესში ხდება შეცდომების დაშვება, რაც აისახება კოგნიტიურ დეფორმაციებში. მეტაკოგნიტიური მართვა არაა უნივერსალური და შეცდომებისგან დაზღვეული, მაგრამ ის იძლევა რისკების შემცირების საშუალებას და ასევე ექვემდებარება რევიზიას. ანუ მეტაკოგნიტიური მონიტორინგის სისტემა შეიძლება იყოს მრავალგანზომილებიანი.

ინოვაციის კონფლიქტის ადეკავატური შეფასებისთვის, მისი შედარება არაა საკამრისი ნოვაციასთან, საინტერესოა რომ გავიაზროთ ინოვაციის ცნების არსი ისეთი ტერმინების ფონზე, როგორიცაა - **„პრენოვაცია“**, **„რენოვაცია“**, **„ექსნოვაცია“, „კვაზინოვაცია“**.

„პრენოვაცია“ - წარმოადგენს ნოვაციამდე არსებულ მდგომარეობას ან პროცესს. ეს ტერმინი კარგად ჰკრავს ნოვაციას შემეცნების პროცესთან და ფაქტობრივად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ შემეცნება ეს არის პრენოვაციის ერთ-ერთი პირობა. იმიტომ რომ გარდა იმისა, რომ ჩვენ რაღაცა შევიცნეთ, ნოვაციის შექმნას სხვა პირობებიც სჭირდება. თვით ტერმინი „პრენოვაცია“ არის ჩვენს მიერ შექმნილი ნოვაცია, ნეოლოგიზმი. სხვა წყაროებში ის არსად არ მოიხსენიება.

„რენოვაცია“ (Cambridge Dictionary). ზოგ წყაროში მოიხსენიება როგორც ჩვეულებრივი „რემონტი“, „რეკონსტრუქცია“, „რემოდელირება“ და ა.შ. გულისხმობს განახლების ისეთ ტიპს, რომელიც: რომელიც ახდენს არსებულის განახლებას და იგივე ფუნქციით არსებობას ან ცვლის განახლებადი ობიექტის ფუნქციონალურ დანიშნულებას, ამის კარგ მაგალითად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თბილისში, ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკა. დღეს იქ განთავსებულია საკმაოდ პოპულარული სასტუმრო და გასართობი ცენტრი. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ ობიექტმა დაიმკვიდრა სახელი „ფაბრიკა“.

„ექსნოვაცია“ (David, M., Gross, M., 2019) ნიშნავს ინოვაციების პროცესების შეჩერებას იმ მიმართულებით, სადაც მოსალოდნელია ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და სრულიად ახალი ტიპის ტექნოლოგიებზე გადასვლა. „ექსნოვაცია“ ამ თვალსაზრისით ახდენს ინოვაციათა ძველი პარადიგმის ბლოკირებას, მაგრამ გზას უხსნის სრულიად ახალი - ინოვაციური პარადიგმის ჩამოყალიბებას, ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ექსნოვაცია

უფროა ორიენტირებული მომავალზე ვიდრე წარსულზე. ამის მაგალითია - ენერგეტიკის სფერო, სადაც ორიენტაციაა განახლებად ტექნოლოგიებზე და შესაბამისად, მაგალითად ნახშირის წარმოების ეტაპობრივ შეჩერებაზეა საუბარი. „ექსნოვაცია“ აქტიურად გამოიყენეს General Electric, Ford Motor Company და American Airlines (Businessandeconomy.org) .

„კვაზინოვაცია“ ან „ფსევდონოვაცია“ (Haustein, H-D.&Maier, H..1980). ეს არის ის შემთხვევა, როდესაც, წარმოდგენილი ნოვაცია - რეალურ სიახლეს არ წარმოადგენს. ნოვაციის წარმდგენი ან აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ წარმოადგენილი პროდუქტი არაა ინოვაცია, ან იმყოფება ილუზიაში.

ინოვაციების თეზაურუსი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, და ჩნდება ბევრი ახალი ტერმინი, რაც მოითხოვს სერიოზულ შესწავლას. საქართველოში მსგავსი პროცესების ანალიზით დაკავებულია საინტერესო მეცნიერი - ბაბულია ახობაძე (ახობაძე, 2019). მეტაკოგნიტიური მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ ტიპის კვლევებში სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ინტეგრირება.

3. ინოვაცია უარყოფითი გამოცდილების ფონზე

ინოვაციების ისტორიას ხშირად უკავშირებენ უარყოფით გამოცდილებას, ავანტიურას, თაღლითობას, ტყუილს, რის შედეგად დაზარალდა მილიონობით ადამიანი და ჩამოყალიბდა „ტოქსიკური მეხსიერება“ ან „ვიქტიმური მეხსიერება“. ამიტომ ე.წ. „გარდაქმნების“, „რევოლუციების“ და “რეფორმების“ მიმართ ჩამოყალიბდა ტოტალური უნდობლობა. ეს გამოკვეთილი პრობლემა იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენ გავმიჯნოთ ერთამენთისგან ინოვაციების ორი ტიპი. პირველი ტიპის არის - კონსტრუქციული ინოვაცია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური სისტემის ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს, ხოლო მეორე ტიპის, - საზოგადოებისთვის საშიში დესტრუქციული ინოვაციები, რომელთა უკან დგანან საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული პირები და ჯგუფები. ხშირად ასეთი ინოვაციები ატარებენ პოპულისტურ ხასიათს და ამით ახდენენ ინოვაციის კულტურის დისკრედიტაციას, რეაქციული ძალების მობილიზებას. გამომდინარე აქედან, კონსტრუქციულ ინოვატორებს უწევთ ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა. ერთი მხრივ, მათ უტევენ „დესტრუქციული კონსერვატორები“, „ფუნდამენტალისტები“, ხოლო მეორე მხრივ - **„კვაზიინოვატორები“**. კვაზიინოვატორები წარმოადგენენ საფრთხეს, როგორც ინოვაციური პროცესებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, გამომიდინარე იქედან, რომ მათი მოქმედება იწვევს კონფლქიტებს, ომს და დიდ მსხვერპლს.

აქ არ უნდა შეგვეშალოს ერთმანეთში „კვაზიინოვატორები“, „კვაზინოვატორები“და **„იმიტატორები“.** „კვაზინოვატორის“ მაგალითი შეიძლება ვეძებოთ ფსევდომეცნიერებაში. ამის დოკუმეტური დასტური კი არის „სტატუსისთვის“ დაცული დისერტაციების სიმრავლე, ხოლო დამატებითი მტკიცებულება არის ის, რომ დაცვის შემდეგ დოქტორები არანაირ სამეცნიერო კვლევებს არ აწარმოებენ. ტერმინი „იმიტატორი“ კი ეკუთვნის - იოზეფ შუმპეტერს. ის ინოვაციის პროცესის სუბიექტებიდან გამოჰყოფს - **ნოვატორებს**; **ადრეულ რეციპიენტებს**, რომლებშიც გულისხმობს იმ **პიონერებს**, რომლებიც სხვებზე ადრე ბედავენ ინოვაციის დანერგვას და სხვებზე ადრე მიდიან რისკზე, ხოლო იმიტატორებში ორ ქვეკატეგორიას: იმათ, ვინც მიჰყვნენ პიონერებს და მოასწრეს ბაზრის შესაბამისი სივრცეების დაკავება (ანუ იმიტაცია ამ შემთხვევაში გულისხმობს - „პიონერთა“ ქცევის განმეორებას). ხოლო მეორე ქვეკატეგორიაა - **„დაგვიანებული იმიტატორები“**- მათთვის აღარ დარჩა ბაზარზე ადგილები. შესაბამისად, საუბარია კონკურენტულ ბრძოლებზე - ანუ ნოვაციით გამოწვეულ ინოვაციის კონფლიქტის კიდევ ერთ სახეობაზე.

აშშ ოჰაიოს უნივერსიტეტის პროფესორის, კომუნიკაციების თეორიის სპეცილისტის - ევერეტ როჯერსის მიერ 1962 წელს გამოცემულ წიგნში „ინოვაციათა დიფუზია“ წარმოადგენს ინოვაციების გავრცელების განსხვავებულ მოდელს (Rogers, 2003).

ინოვატორები (2.5%), ინოვაციის ადრეულად მიმღებები ადამიანები (13.5%), ინოვაციების გამავრცელებელი ადამიანები (34%), გვიან მიმღებები (34%), უკიდურესად რთულად მიმღებები (16%). ე.როჯერსის მიხედვით სხვადასხვა ამ კატეგორიების მიმართ უნდა იყოს შერჩეული კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპი. კონფლიქტი წარმოიშობა იქ, სადადაც იქმნება კომუნიკაციის პრობლემა, შესაბამისად, კომუნიკაციის სტილის შერჩევა განსხვავებულ ადამიანებთან წარმოადგენს კონფლიქტის პრევენციის მექანიზმს, ხოლო კონფლიქტის მოგვარება კი ნიშნავს კომუნიკაციის რეაბილიტირებას. ამიტომ მნიშვნელობა აქვს „კომუნიკაციური არხების“ შერჩევას. ე.როჯერს შემოაქვს ასევე ცნება - „სოციალური სისტემა, რომელიც განისაზღვრება როგორც საერთო მიზნის მიღწევისათვის გაერთიანებული - ერთიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული სხვადასხვა ერთეულთა ურთიერთდამოკიდებული სისტემა“ (Rogers, 1983). ე.როჯერსის „სოციალური სისტემა“ წარმოადგენს დესტრუქციული კონფლიქტების პრევენციის მექანიზმსაც და კონსტრუქციული კონფლიქტების პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობასაც. ამავე დროს, როჯერსის თეორია, შუმპეტერის თეორიისგან განსხვავებით ახდენს „ნოვატორის“ ფუნქციის ნიველირებას, რაც ამტკიცებს ზემოთ აღმოჩენილი პარადიგმის მართებულებას.

თეორიული შედეგები:

- კვლევაში გაიმიჯნა ერთმანეთისგან „ნოვაციის“ და „ინოვაციის“ ცნებები, შესაბამისად „ნოვატორის“ და „ინოვატორის“ როლები. განხილულია ნოვაცია-ინოვაციის დინამიური სისტემა. წარმოდგენილია ასევე პრენოვაციის, ექსნოვაციის, რენოვაციის, კვაზინოვაციის, მეტანოვაციის (N4N - გულისხმობს ნოვაციის პროცესის ნოვაციით უზრუნველყოფას), მეტაინოვაციის (ინოვაცია ინოვაციისათვის - I4I) ცნებები, რაც იძლევა ნოვაციათა ეფექტიანი გამოყენების(ინოვაციის) ხარისხის ზრდის ახალ შესაძლებლობებს. ყოველივე ამ ცნებას, როგორც სისტემას და პროცესს ახასიათებს ავტონომიური და ურთიერთდაკავშირებულ კონფლქიტთა სიმრავლეები.

- მეტაკოგნიტიური მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა ინოვაციის ცნების რედუქციონისტული დეფორმირებული აღქმა, რომელიც იწვევს:

➢ ნოვაცია-ინოვაციების ფაზებთან დაკავშირებულ ფავორიტიზმს, რომელიც დისკურსში ანიჭებს ინოვატორებს უპირატესობას ნოვატორებთან მიმართებაში;

➢ სექტორალურ ფავორიტიზმს, რომელიც წინ აყენებს ბიზნესის სექტორს და ახდენს სახელმწიფო და სამოქალაქო ნონ-პროფიტ სისტემებში ინოვაციური პროცესების დისკრიმინირებას, რაც გამოიხატება რესურსების არასწორ გადანაწილებაში. ამის მაგალითა - „კომერციალიზაციის“ პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ ბიზნეს-სექტორზე, როდესაც არაკომერციული წარმოებაც - წარმოებაა.

➢ ტექნიკური ნოვაცია/ინოვაციების ფავორიტიზმს და სოციალურ/ჰუმანიტარული ნოვაცია/ინოვაციების დისკრიმინაციას, რომელიც გამოიხატება რესურსების არათანაბარ გადანაწილებაში, ან სრულ იგნორირებაში.

  არსებული ვითარება იწვევს რედუქციონისტული განწყობების ჩანაცვლების აუცილებლობას ჰოლისტური, ემერჯენტული და სინერგიული მიდგომებით.

- კვლევამ წარმოადგინა დისკურსში ინოვაციური კაპიტალის, და მისი ქვესისტემის - ინოვაციურ კონფლიქტთა კაპიტალის პრაქტიკული გამოყენების საკითხი.

- ნაჩვენებია, რომ კონფლიქტი (მათ შორის ინოვაციის კონფლიქტი) შესაძლებელია რომ იყოს ერთდროულად კონსტრუქციულიც და დესტრუქციულიც, ანუ შერეული.

- წარმოდგენილია განწყობის თეორიის ფუნდამენტური როლი კონფლიქტის აღქმასთან და მის მიმართ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

ამ ფაქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს განწყობის თეორიის რენესანსი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამით შეიძლება იყოს დაინტერესებული მსხვილი ბიზნესი.

4. პრაქტიკული შედეგები:

- კონფლიქტების პრევენციის, პოზიტიური ტრანსფორმაციის და პოსტკონფლიქტური განვითარების მიზნით დღის წესრიგში დგება ინოვაციური პროცესების ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის ამოცანა. ყურადღება უნდა გამახვილდეს ფსიქოტრავმის, კოგნიტიური ფსიქოლოგიის, ორგანიზაციული ფსიქოლოგიის, ერგონომიკის, მართვის ფსიქოლოგიის, ეკონომიკური ფსიქოლოგიის, საინჟინრო ფსიქოლოგიის, შემოქმედების ფსიქოლოგიის, მეცნიერების ფსიქოლოგიის, მეწარმის ფსიქოლოგიის და ნოვაცია/ინოვაციის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა როლზე ამ ტიპის კონფლიქტების მართვაში.

- თვით ეს სტატია წარმოდგენილია როგორც ნოვაციის და ინოვაციის ამბივერტული კვლევის მაგალითი და - ინოვაციური კონფლიქტების შედეგად მიღებული პროფესიული ტრავმის ნიადაგზე შექმნილ სამეცნიერო პროდუქტს და პოსტ-ტრავმული განვითარების პოზიტიურ მაგალითს.

5. დასკვნა:

გამომდინარე იქედან რომ ნოვაცია/ინოვაციის კვლევები საქართველოში შედარებით ახალია, გარედან შემოტანილ ცოდნას თან მოჰყვება შემეცნებითი ხასიათის ხარვეზები და კონფლიქტები. მართვის სისტემების ეფექტიანი რეფორმირება მოითხოვს ტერმინოლოგიის ადაპტირებას ქართულ ეროვნულ გარემოსთან და სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ინტეგრირებას ამ ცოდნის მომხმარებელთან ეფექტიანი მიტანის მიზნით. ამ მიმართულებით დაინტერესებული ორგანზიაციების ხელშეწყობით უნდა შემუშავდეს ნოვაცია/ინოვაციის ახალი ქართული ლექსიკონი და შეიქმნას ახალი კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამები.

კვლევამ დაადასტურა ნოვაციის კონფლიქტის განსხვავება ინოვაციის კონფლიქტისგან. დადასტურდა მეტაშემეცნების განსაკუთრებული როლი, რათა მოხდეს როგორც მინიმუმ ქართულ დისკურსში შექმნილი ტერმინოლოგიური ანომიის ლოკალიზება და ნეიტრალიზება.

ბიბლიოგრაფია:

1. ახობაძე, ბ. (2019). ბიზნეს ტერმინოლოგიის თარგმნისა და სისტემატიზაციის პრობლემა (თანამედროვე ინგლისური და ქართულე ენების კონტექსტში). სადოქტორო ნაშრომი. საქართველოს უნივერსიტეტი. თბილისი
2. ნადირაშვილი, შ. (1978). „პროპაგანდის ფსიქოლოგია“, თბილისი.
3. რუსეცკი, ა., (2009). ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში. SCIRS. თბილისი
4. რუსეცკი, ა. (2012). კონფლიქტების მოუგვარებლობის ფსიქოლოგიური საფუძვლები შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის#9. ბიულეტენი.
5. რუსეცკი, ა. (2023). „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისის მეტაკოგნიტიური მართვის შესაძლებლობები“. სადოქტორო ნაშრომი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
6. რა არის ინოვაციური კონფლიქტები? https://blh.com.ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/
7. Coser, L.A. (1957) Social Conflict and the Theory of Social Change. The British Journal of Sociology. Vol. 8, No. 3. pp. 197-207.
8. David, M., Gross, M. (2019). Futurizing politics and the sustainability of real-world experiments: what role for innovation and exnovation in the German energy transition?. Sustain Sci 14, 991–1000 https://doi.org/10.1007/s11625-019-00681-0
9. Haustein, H-D., Maier, H. (1980). Basic improvement and pseudo-innovations and their impact on efficiency, Technological Forecasting and Social Change, Volume 16, Issue 3, pp. 243-265, ISSN 0040-1625, https://doi.org/10.1016/0040-1625(80)90034-7.
10. Rogers, E. M. (2003). Diffusion of innovations (5th ed.). New York, NY: Free Press
11. Rogers, E. M. (1983). Diffusion of innovations. — 3rd. — New York : Free Press of Glencoe. — ISBN 9780029266502.
12. Renovation. (Cambridge Dictionary). https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/renovation#google_vignette (ბოლო ნანახია 08.04.2024)
13. Vollmer, A. (2015), "Conflicts in innovation and how to approach the “last mile” of conflict management research – a literature review", International Journal of Conflict Management, Vol. 26 No. 2, pp. 192-213. https://doi.org/10.1108/IJCMA-09-2012-0062
14. Андреева Г.М. (1980) Социальная психология. – Изд-во МТУ, 1980. 29
15. Коджаспирова Г.М., Коджаспиров А.Ю. (2005). Словарь по педагогике. – М., 2005. – С. 5

16. Тарабаева, В.Б. (2010) Инновационный конфликт в организации: методы управления: учебное пособие/ В.Б. Тарабаева. – Белгород: Изд-во…, 2010. – 199 с.
17. Тарабаева В.Б (2001). Инновационный конфликт в организации: Методы управления
18. Ядов В.А. (2001)Стратегия социологического исследования. – М.: Добросвет, – С. 306.
19. Ядов В.А. (1975) О диспозиционной регуляции социального поведения личности // Методологические проблемы социальной психологии / отв.ред. Е. Шорохова. – М.: Наука, 1975. 28